მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

საზოგადოებრივი ჯანდაცვა 2
Public Health 6

პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა **Public Health**
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი Master in Public Health
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი და თსუ მედიცინის ფაკულტეტთან აფილირებული სამედიცინო დაწესებულებები
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	მედიცინის ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროფესორი ნატა ყაზახაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	
პროგრამის მიზანი	
პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, განუვითაროს პროფესიული კეთილსინდისიერებისა	

და პასუხსმგებლობის გრძნობა, პროგრამის დასასრულს იყოს ჩამოყალიბებული სპეციალისტი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დასაქმების ბაზარზე, მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს შეასწავლოს ყველა ის საკითხი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, გარემო ფაქტორები და სხვ.; აგრეთვე ჯანდაცვის სისტემის მოწყობის და მართვის საკითხები და გლობალური ჯანმრთელობის გამოწვევების სწავლება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის უმთავრესი მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის თეორიულ, პრაქტიკულ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. შეისწავლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალური საკითხები.

სწავლის მეთოდები

ლექცია, ინტერაქტიური, Power-Point პრეზენტაციის თანხლებით, დემონსტრირების მეთოდი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი,; შემთხვევის გარჩევა და ანალიზი (Case study); დისკუსია/დებატები და კითხვებზე პასუხი. ანალიზის და სინთეზის მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; წერითი მუშაობის მეთოდი; სიტუაციური სავარჯიშოების და სცენარების განხილვა; როლური თამაშები; პრაქტიკული მეთოდი, აუდიო-ვიზუალური მეთოდი; სტატიის კრიტიკული ანალიზი (წერილობით წარმოდგენა და ზეპირი მოხსენება; Evening News მომზადება (წერილობით წარმოდგენა და ზეპირი მოხსენება); რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია.

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების კრიტერიუმებია:

ლექცია/პრაქტიკუმებზე სტუდენტთა აქტიურობა: მქსიმალური შეფასება - 35 ქულა, (სტუდენტთა აქტიურობა ფასდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით: დასწრება-10 ქულა; სწავლების შემდგომი პოსტ-ტესტი 10 ქულა; რეფერატის/პროექტის პრეზენტაცია 15 ქულა; შუალედური წერითი გამოცდა 25 ქულა; თითოეულ საგანში, სემესტრის მანძილზე, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 31 ქულა, რათა დაშვებულ იქნეს დასკვნით გამოცდაზე.

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა (გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 20 ქულას)

სტუდენტის ცოდნის საბოლოო, სემესტრული შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: “ფრიადი“, “ძალიან კარგი˜, “კარგი”, “საშუალო’”, ”დამაკმაყოფილებელი˜, “არადამაკმაყოფილებელი˜,“სრულიად არადამაკმა¬ყოფილებელი”.

სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	შეფასება
91 -100	“ფრიადი”	დადებითი	(A) „ფრიადი“
81 – 90	“ძალიან კარგი”	დადებითი	(B) „ძალიან კარგი“
71 – 80	“კარგი”	დადებითი	(C) „კარგი“
61 – 70	“საშუალო”	დადებითი	(D) „დამაკმაყოფილებელი“
51 – 60	“დამაკმაყოფილებელი”	დადებითი	(E) „საკმარისი“

41 – 50	"არადამაკმაყოფილებელი"	უარყოფითი	(FX) „ვერ ჩააბარა" (ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება
0 – 40	"სრულიად არადამაკმაყოფილებელი"	უარყოფითი	(F) „ჩაიჭრა" (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)

სწავლის შედეგები

ზოგადი უნარები: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. სტუდენტი შეიძენს ცოდნას ახალი საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მისი შემადგენელი კომპონენტების თაობაზე. სამაგისტრო პროგრამა და მისი შემადგენელი ნაწილები სტრუქტურირებულია ისე, რომ მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სწავლების უახლეს მიდგომებს და მეთოდებს, რომელიც მაგისტრანტებს უქმნის საფუძველს თავად შეისწავლონ საზოგადოებრივ ჯანდაცვის პრობლემური საკითხები, გაიაზრონ და შეიმუშაონ ინოვაციური მიდგომები, მონაწილეობა მიიღონ კვლევებში და განავითარონ ახალი, ორიგინალური იდეები.

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი:

მიიღებს ცოდნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ეპიდემიოლოგიაში, ბიოეთიკასა და სამედიცინო სამართალში, გარემოს ჯანმრთელობის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

მაგისტრანტი შეძლებს გააცნობიეროს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობა. ექნება საკუთარი ცოდნის და უნარების ობიექტურად შეფასების უნარი. გააცნობიერებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, როგორც მეცნიერების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. მეცნიერული კვლევის ჩატარების თაობაზე მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს კვლევა და უზრუნველყოს იდეის ორიგინალური განვითარება.

უნარები

მაგისტრანტი შეძლებს:

მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებას.მიღებული ცოდნის საფუძველზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასა და სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობას. მაგისტრანტს ექნება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელების და წარმოშობილი ბარიერების დაძლევის უნარი. შესწავლილი საკითხების საფუძველზე მაგისტრანტს ექნება პრობლემის დანახვის და მის გადასაჭრელად წინადადებების მომზადების უნარი. მაგისტრანტს შეეძლება ჯგუფში მუშაობა როგორც გუნდის რიგით წევრს, ისე ლიდერს. მაგისტრანტს ექნება ცოდნის გამოყენების უნარი პრაქტიკული საქმიანობის დროს ახალ და უცნობ გარემოში, თავის სპეციალობასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში; მაგისტრანტს ექნება ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეძლებს თავი გაართვას სირთულეებს. არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეძლებს ჩამოაყალიბოს მოსაზრებები და დასახოს პრობლემის გადაჭრის გზა.

მაგისტრანტს ექნება უნარი პრაქტიკული საქმიანობის დროს, პრობლემის გადასაჭრელად გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების მოსმენის და კორექტული დისკუსიის უნარი. დასახული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზების დროს მაგისტრანტი შეძლებს გამოავლინოს მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობა და დაიცვას ეთიკური ნორმები;

მაგისტრანტი შეძლებს თავისი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენას, მის მკაფიო დასაბუთებას შესაბამისი, ცოდნით, მსჯელობითა და ლოგიკით,

როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; მაგისტრანტს ექნება ანალიზის და სინთეზის უნარი, მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ მოძიებული ინფორმაციის (მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე უახლესი კვლევების გამოყენებით მათ შორის ინგლისურ ენაზეც) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. სტუდენტს შეეძლება მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ვერბალური კომუნიკაციის და სხვადსხვა თანამედროვე საკომუკიციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულებული სამუშაოს შინაარსის, პრობლემის აქტუალობის, საკუთარი დასკვნების, მოსაზრებების და არგუმენტაციის, ასევე კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენაზე, განსხვავებული აზრის მოსმენა, ოპონირება და საკუთარი აზრის დასაბუთება არგუმენტირებულად, იქ, სადაც შესაძლებელია მეცნიერული მტკიცებულებებზე დაყრდნობით. სტუდენტს შეეძლება აზრის გამოთქმა მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

მაგისტრანტს შეეძლება:, სასწავლო პროცესში ინტენსიური მონაწილეობა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; დროის მენეჯმენტი -პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად დროის ეფექტურად განაწილება, სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ჩასაბარებლად დადგენილი ვადების დაცვა;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

მაგისტრანტს შეეძლება დაინახოს და გაიაზროს ის ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობისთვის. სასწავლო პროცესში სხვადასხვა საკითხების თუ შემთხვევების განხილვის შემდეგ მაგისტრანტს ექნება გათავისებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ეთიკური, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები; ასევე საზოგადოების წევრებთან, პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა.

მაგისტრანტს ეცოდინება, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობა, ზოგადად ჯანდაცვის სფეროში მოღვაწობა მოითხოვს ჰუმანურ პრინციპებებზე, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და კაცთმოყვარეობზე აგებულ ურთიერთობებს. მაგისტრანტი პატივს სცემს ჩამოთვლილ ფასეულობებს და ღირებულებებს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული და აღიარებული ღირებულებების, ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესახებ, ცოდნის მიღებასთან ერთად, მაგისტრანტს შესაძლებლობა ექნება გამოხატოს ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება, ასევე შეეძლება სხვების დამოკიდებულების შეფასება და პატივისცემა, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

დასაქმების სფეროები:

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი მომზადებული იქნება დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის, მის მიერ სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო სექტორში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, სადაზღვევო კომპანიებში, ფარმაცევტულ სექტორში, სამედიცინო დაწესებულებებში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აქტივობის არეს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები, რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე, აგრეთვე ის სტრუქტურები, სადაც ხდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება (მაგ. შრომის, აჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საპარლამენტო კომისიები), საზოგადოებრივი ჯანდაცვის,

ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ფოკუსირებული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეაბილიტაციო ცენტრები. მაგისტრის ხარისხის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები შეძლებენ მუშაობას პაციენტის უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების სამსახურებში, ასევე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მკვლევარის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონსულტანტის და ასისტენტის თანამდებობებზე, მაგისტრატურის პერიოდში სამეცნიერო მუშაობის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება მათ ასევე საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში.	
პროგრამის სახელწოდება	**Public Health**
საფეხური	Master program

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	Bachelor's degree diploma in Health Sciences or in a relevant field (Social Sciences or Natural Sciences in case of documented minimum 5 ECTS within the areas specific to master program: Public Health, Epidemiology, Biostatistics, Environmental Health, Health Management, Health Economics, Health Promotion), one cycle-undergraduate medical education diploma.
	  The common entrance National exam for master degree (for Georgian applicants only);
	  University exam in English Language on level B2 or Certificate confirming the knowledge of English Language on level B2.
	Master's degree candidates who have completed a bachelor's or undergraduate medical programs in English, are exempt from the foreign language exam and are not required to submit a language certificate.

სწავლების ენა	English
კვალიფიკაცია	Master of Public Health
სწავლების ხანგრძლივობა	4 Semesters
ECTS	120
სწავლების გადასახადი	4500US$ (For Georgian citizens – 2250 GEL)
პროგრამის განხორციელების ადგილი	Institute of Morphology and affiliated Medical facilities
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	Faculty of Medicine
საკონტაქტო პირი	Prof. Nino Chikhladze, Assoc. Prof. Nato Pitkhelauri

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	
პროგრამის მიზანი	
Master Program aims to provide student-centered and competence-based teaching harmonized with international standards of Public Health Master Level Education, therefore intends to train and inspire new generation of public health professionals in global network atmosphere, provide broad knowledge, skills and expertise that is needed to undertake leadership roles in addressing important issues of Public Health at national and global level.	
სწავლის მეთოდები	

Approach to Teaching and Learning is active, collaborative and reflective.
  Interactive lectures/seminars using PP presentations, demonstration method using Video/Audio materials, computing practical
  Group work, individual study work, supervision
  Homework assignments, Quiz
  Presentations, Debates/Discussions, Brainstorming
  Observation, Case/Problem/Role play-based learning
  The critical analysis method
  E-learning	

შეფასების პროცედურები	
Student's knowledge is evaluated using the following grading scale: "Excellent", "Very good", "Good", "Satisfactory", "Sufficient", "Marginal fail" and "Fail". Each course has its own assessment methods. The student's final mark is determined by the number of scores for pre-exam components (60%) and final (examination) assessment (40%). Please, refer for more information to the course description (syllabus).	
სწავლის შედეგები	
By the end of the study and after successful completion of the master program, students are able to: **Knowledge and Understanding** LO1-demonstrate a profound and comprehensive understanding of concepts and methods in public health; LO2-analyze, evaluate and critically reflect/reasoning of public health issues, social, economic and environmental determinants of population health in a local	

and global contexts.

Skills

LO3-solve public health problems in a new or unfamiliar environment within multidisciplinary and multicultural contexts using the theory, concepts, models and methods within public health;

LO4-formulate judgment on the basis of assessment and innovative synthesis of incomplete or limited information on public health issues considering local and global contexts;

LO5-communicate effectively and appropriately conclusions on public health policy and practice and public health messages to different audience (academic, professional and lay audience) across cultural boundaries and with people from diverse background;

LO6-apply ethical principles and human rights-based approach in health in public health practice and research;

LO7-plan and carry out independent research in public health.

Responsibility and autonomy

LO8-contribute development of public health knowledge and practice a local and global contexts;

LO9-take responsibility and keep abreast of new development in public health.

დასაქმების სფეროები:

Career opportunity

Master of Public Health degree qualifies for leading positions in Health Care and Public Health services, Governmental, Non-Governmental Organizations and International Organization concerned with public Health projects and initiatives, as well as in professional career in Education and Research in Public Health.

Learning Continuation Opportunity

The Master Program graduates will be able to continue studies and to apply for admission to Doctoral Programs in Higher Educational Institutions in Georgia or abroad.